# 41 ქართული ოცნება

## განვითარება ყველა რეგიონს

ქართული ოცნება GEORGIAN DREAM



## ძვირფასო ქედელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას.

„განვითარება ყველა რეგიონს" – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ქედის მერობის კანდიდატისა და ქედის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ქედის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქედა და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

***„ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭო***

# ქედის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო.** ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან,** შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

**გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ქედის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა.** იზრდება საბიუჯეტო შემოსავლები – 2013 წელს ქედის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 6 მლნ 517 ათასი ლარი იყო, 2021 წლის საპროგნოზო მონაცემებით, – 16 მლნ 924 ათასი ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა საკუთარი შემოსავლების სახით, 166 ათასი ლარი მიიღო, 2021 წელს საპროგნოზო მაჩვენებელი – 8,4 მილიონზე მეტია.

### სოფლის მეურნეობა

**სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.** „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან, 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

**ქედის მუნიციპალიტეტში**, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2014-2021 წლებში, განახორციელა **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 3 პროექტი** (ჯამურად 4 604 363 ლარი, თანამონაწილეობა 2 020 409 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 2 პროექტი (ჯამურად 230 709 ლარი, თანამონაწილეობა 90 190 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, 145 ჰექტარია დაზღვეული (მოსავლის ღირებულება 309 570 ლარი), რითაც 273-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 17 კოოპერატივი (130 მეპაიე, კაპიტალი 518 109 ლარი). **შეღავათიანი აგროკრედიტით** ისარგებლა 11-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა, 2013-2021 წლებში, ჯამურად 2 656 899 ლარის პროექტები განხორციელდა, (სახელმწიფოს თანამონაწილეობა 1 023 227 ლარი). პროგრამით **„მაღალეფექტური მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების ხელშეწყობა“,** 2013-2021 წლებში, ისარგებლა 351-მა ბენეფიციარმა, ჯამურად 102,6 ჰექტარზე გაშენდა მრავალწლიანი ხეხილოვანი კულტურების ბაღები (415 825 ლარი, თანამონაწილეობა 333 029 ლარი). 2012-2021 წლებში, **სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ტექნიკური საშუალებებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა უზრუნველყოფის ხელშეწყობის** პროგრამით, ჯამურად 1 348 407 ლარის 833 ერთეული, სხვადასხვა სახის მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები გაიცა (თანამონაწილეობა 948 686 ლარი). პროგრამით **„სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“,** 2013-2021 წლებში, ბენეფიციარებს, ჯამურად 182 666 ლარის, 85 ერთეული სასათბურე მეურნეობა გადაეცათ (თანამონაწილეობა 127 866 ლარი). პროგრამით **„აგრომომსახურეობის განვითარების ხელშეწყობა“,** 2020-2021 წ.წ. დაიხნა 344 ჰა სასოფლო-სამეურნეო ფართობი (44 645 ლარი). **მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობის** პროგრამით, 2019-2021 წლებში, ბენეფიციარებს ჯამურად 46 000 ლარის, 460 ფუტკრის ოჯახი გადაეცათ. 2020 წელს დაიწყებული **სოფლის განვითარების პროგრამით** ისარგებლა 1-მა ბენეფიციარმა (ინვესტიცია 398 816 ლარი, თანადაფინანსება 170 000 ლარი).

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ქედის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად, საშუალოდ, დაამუშავა 757 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 1 260 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

### მეწარმეობის განვითარება

**მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.**

სახელმწიფო პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ქედის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 1 საწარმო (1 106 847 ლარი, დასაქმებულია 20 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 882 933 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 1 123 478 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 105 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 67, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 38 პროექტი).

### ენერგეტიკა

**საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.**

**2013-2021 წლებში, აჭარის რეგიონში 6 ჰიდროელექტროსადგური აშენდა** (კინტრიშა ჰესი, ხელვაჩაური ჰესი 1, შუახევი ჰესი, სკურდიდი ჰესი, კირნათი ჰესი და სხალთა ჰესი). მათი დადგმული სიმძლავრე ჯამურად 269 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება – 817 მლნ კვტ/სთ, ჯამური ინვესტიცია 781 მლნ აშშ დოლარი. **მშენებლობის, ლიცენზირების ან კვლევის ეტაპზეა 6 ჰესი: კირნათი ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 51 მგვტ, 90 000 000 დოლარი; **სკურდიდი3 ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,45 მგვტ, 1,34 მლნ აშშ დოლარი; **სკურჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,98 მგვტ, 3,2 მლნ აშშ დოლარი; **გოგინაური ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 4,72 მგვტ, 5 420 000 აშშ დოლარი; **აკავრეთა ჰესი** – დადგმ.სიმძლავრე 20 მგვტ, 35 მლნ აშშ დოლარი; **შევაბური ჰესი** – დადგმ. სიმძლავრე 1,96 მგვტ, 3 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1.08 მგვტ, 1.66 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 2** – დადგმ. სიმძლავრე – 1.55 მგვტ, 2.1 მლნ აშშ დოლარი; **ხოხნისწყალი 3** – დადგმ. სიმძლავრე – 1.99 მგვტ, 2.7 მლნ აშშ დოლარი.

2013-2017 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტში, 2 500 აბონენტს დაუმონტაჟდა **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი,** რითაც ქედაში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა. **გაზიფიცირებულია** 6 სოფლის (დაბა ქედა, ქედა, ქვედა ზენდიდი, ზენდიდი, გულები, ხუნკუდა) 713 აბონენტი. 2021-2024 წ.წ. იგეგმება 16 სოფლის (კოკოტაური, დოლოგანი, ქვედა მახუნცეთი, ცხემნა, ზვარე, ვარჯანისი, ჭინკაძეები, ქვედა ბზუბზუ, პირველი მაისი, ახო, დანდალო, ზედა ბზუბზუ, ძენწმანი, არსენაული, გობრონეთი, ტაკიძეები) გაზიფიცირება (1682 აბონენტი). აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ, 2017-2018 წლებში, განახორციელა ბათუმი-ხელვაჩაური-ქედა-შუახევი (ხიჭაურის დასახლება) გაზსადენის სამშენებლო სამუშაოები (25 638 788 ლარი).

### ტურიზმი

**„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.**

**ტურიზმის განვითარების მიზნით,** ხორციელდება ტურისტული მარშრუტების კვლევა და რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2015 წლიდან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი ახორციელებს იდენტიფიცირებული მარშრუტების, საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ღვინის მარნების მარკირებას. პროექტში „ღვინის გზა“ ქედის მუნიციპალიტეტის ღვინის ტურიზმის მასპინძელი 7 ობიექტია გაერთიანებული.

ქედაში დასრულდა **შემდეგი ტურისტული პროექტები**: მოეწყო მახუნცეთის ჩანჩქერის ტურისტული ინფრასტრუქტურა; სოფლებში: მეძიბნა, წონიარისი, ზედა ბზუბზუ, მერისის მდინარეებსა და ჩანჩქერებზე შეიქმნა გასასვლელი



ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა მერისი-გუნდაური-ჭალათის მიმართულებით



ქედის მუნიციპალიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. ხიდის სიგრძე 72 მეტრს, ხოლო სიგანე 8 მეტრს შეადგენს

საგზაო ინფრასტრუქტურა; სოფ. ქვედა მახუნცეთში, აწჰესის დასახლებაში, აშენდა და მოეწყო ტურისტული ცენტრი და პარკირების ზონა; ცივასულას, ზენდიდისა და კავიანის ციხეებზე მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა; კეთილმოეწყო ბზუბზუს ჩანჩქერის, გოდერძის ჩანჩქერის, მიწის ხიდისა და წონიარისის თაღოვანი ხიდის მიმდებარე ტერიტორია;

2019 წლიდან აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აქტიურად ახორციელებს **ინფრასტრუქტურულ პროექტებს:** მიმდინარეობს ველობილიკის მშენებლობა (შუახევის მუნიციპალიტეტში, კავიანის ციხის გავლით, ქედისა და შუახევის მუნიციპალიტეტებზე გარდამავალი საფეხმავლო-ველობილიკის მოწყობა). 2021 წელს დაიგეგმა კულინარიული ექსპედიცია – კვლევა მოიცავს აჭარის ა/რ ხუთივე მუნიციპალიტეტს, აღმოაჩენს მივიწყებულ კერძებსა და ტრადიციებს, რასაც ერთ სახელმძღვანელოში გააერთიანებს.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

## გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით, არაერთი რეფორმა გატარდა.** ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისთვის, 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2021 წელს, **პირველად, საქართველოს ისტორიაში,** საქართველოს 4 დაცული ტერიტორია: მტირალასა და კოლხეთის ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები „კოლხური ტყეებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების“ სახელით, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა. გადაწყვეტილება ჩინეთის ქალაქ ფუჟოუში, UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 44-ე სესიაზე მიიღეს. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები მდებარეობს საქართველოში, აჭარის ა/რესპუბლიკაში, გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

2020 წელს ქედაში ჩატარდა **ტყის ინვენტარიზაცია,** ტყის აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა 30 000 კვ.მ-ზე. 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, მოსახლეობაზე გაცემულია 118 ათასი კუბ. მ **მერქნული რესურსი.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს და** ამზადებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. უწყვეტად ხორციელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი, მუშავდება რეკომენდაციები პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

**სამომავლოდ** გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები; **გაგრძელდება** სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ; გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს; ხელისუფლების გეგმით, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მლნ ჰექტარს გაუთანაბრდება.

## ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

**2022-2023 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.**

2013-2020 წლებში, ქედის, **ადგილობრივი მნიშვნელობის** საავტომობილო გზებისა და ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან, ჯამურად 48 328 917 ლარი დაიხარჯა. აქედან 77,752 კმ გზის რეაბილიტაცია 22 822 604 ლარით დაფინანსდა, ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია კი – 8 076 390 ლარით, კერძოდ, აშენდა 17 ახალი ხიდი, 272 საყრდენი კედელი და დამცავი ნაგებობა, რეაბილიტაცია ჩაუტარდა 13 ხიდს.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი, ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, 33 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 516 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

ქედაში **წყალმომარაგების** გაუმჯობესების მიზნით, 26 მლნ ლარზე მეტი დაიხარჯება. უკვე მიმდინარეობს ან იგეგმება წყალმომარაგების პროექტები შემდეგ სოფლებში: დაბა ქედა, ტიბეთა, ვაიო, ზედა აქუცა, ქვედა აქუცა, მილისი, უჩხითი, ქოსოფელი, (სულ 852 ოჯახი).

### 2021-2022 წლებისთვის, ქედის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ.კოკოტაური სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა – 84 960 ლ;
- სოფ. ჩეტკიძეები, უსუფ ბერიძის სახლთან, რ/ბ საყრდენი კედლის მოწყობა – 108 346 ლ;
- დაბა ქედა, მდ. აკავრეთასა და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები – 493 690 ლ;
- სოფ. ახო, არსენ ბერიძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 38 422 ლ;
- სოფ. ვაიო, ლევან ტეტემაძის სახლთან, სანიაღვრე არხის მოწყობა – 6 166 ლ; ლადო შავიშვილის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა – 34 829 ლ;
- სოფ. ტიბეთა, სანიაღვრე არხის მოწყობა რომან ბერიძის სახლთან – 6 286 ლ, ზებურ ხალვაშის სახლთან – 13 797 ლ; შოთა ბერიძის სახლთან, ს/გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა – 12 492 ლ;
- სოფ.ზედა ბზუბზუ, სერგო აზნაურიშვილის სახლთან სანიაღვრეს მოწყობა – 36 118 ლ; შალვა აზნაურიშვილის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა – 12 955 ლ; ქვედა ბზუბზუ, ტარიელ ბოლქვაძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 17 444 ლ.
- სოფ. ზედა მახუნცეთი, ჰაიდარ ხაბაძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა – 37 008 ლ; კოტროპინას უბანში, დამეწყრილ ფერდზე გაბიონისა და ახალი მილის მოწყობა – 67 930 ლ;
- სოფ. ძენწმანი, სარწყავი არხის რეაბილიტაცია – 11 808 ლ; მინისპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 76 952 ლ;
- დაბა ქედაში, გოგებაშვილის ქ.-დან რუსთაველის ქ.-ზე ჩასასვ. რეაბილიტაცია – 55 592 ლ; 9 აპრილის ქ. გზის სავალი ნაწილის რეაბილიტაცია – 120 200 ლ; ვაჟა ფშაველას ქ. გზის რეაბილიტაცია – 65 770 ლ; 26 მაისის ქ. №2, ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია – 71 757 ლ; აღმაშენებლის ქ. №23 საყრდენი კედლის მოწყობა – 39 691 ლ; მ. კოსტავას ქ.№3 ორსართულიანი შენობის რეკონსტრუქცია (მუზეუმის განსათავსებლად) – 203 023 ლ;
- სოფ. კოლოტაური, ავთანდილ სალაძის სახლთან ს/გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა – 37 532 ლ; ზურაბ ფარტენაძის სახლთან გაბიონის მოწყობა – 13 747 ლ; სოფლის სახლის რეაბილიტაცია – 79 911 ლ;
- სოფ. კუჭულა, ისრაფილ გოგიტიძის სახლთან, ს/გზაზე საყრდენი კედლის მოწყობა – 69 933 ლ;
- სოფ. გუნდაური, ლევან ლორთქიფანიძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 18 740 ლ;
- სოფ. ოქტომბერი, მერაბ ბასილაძის სახლთან ბეტონის კიუვეტებისა და ლითონის მილების მოწყობა – 30 604 ლ; რომან ასამბაძის სახლთან რკინა-ბეტონის კიუვეტის ცხაურით მოწყობა – 2 617 ლ;
- სოფ. ტაკიძეები, კონცელიძის სახლთან, ბეტონის კედლის მოწყობა – 33 942 ლ; ს/გზაზე შაქრო დიასამიძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 22 240 ლ;
- სოფ. ჯალაბაშვილები, იმნაიშვილების უბანში, ს/გზაზე ცემენტ-ბეტონის საფარის მოწყობა – 20 083 ლ; ტბის უბანი, ბეტონის საყრდენი კედლისა და სანიაღვრე არხის მოწყობა – 70 910 ლ;
- სოფ. წონიარისი, ეხივრის უბანში, ამირან გოგიტიძის სახლთან, ბეტონის გზის მოწყობა – 32 010 ლ; საყრდენი კედლის მოწყობა რეზო კვირიკაძის სახლთან – 47 632 ლ; ზაურ ხალვაშის სახლთან – 12 675 ლ; თემურ ბასილაძის სახლთან – 11 632 ლ;
- სოფ. ცხმორისი, საყრდენი კედლის მოწყობა ს/გზაზე რევაზ აბაშიძის სახლთან – 75 135 ლ; ილია ცინცაძის სახლთან – 71 527 ლ;
- სოფ.დოლოგანი, დოხოძეების უბანში, სასოფლო-საუბნო გზის რეაბილიტაცია – 85 02 ლ; საყრდენი კედლის მოწყობა საფარიძეების უბანში – 46 820 ლ; ჭინკაძეებში, მალხაზ მიქელაძის სახლთან – 16 605 ლ; ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია – 48 361 ლ; ახალი ხიდის მშენებლობა – 164 018 ლ;
- სოფ. პირველი მაისი, გურამ დვალიძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 37 795 ლ;
- სოფ. გეგელიძეები, რ/ბ კიუვეტის მოწყობა შერიფ დიასამიძის სახლთან – 13 431 ლ; ნოდარ ხალვაშის სახლთან – 17675 ლ; ფრიდონ ხალვაშის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია – 294 800 ლ;
- სოფ. კოკოტაური. ნოდარ ანანიძის სახლთან, სანიაღვრე არხების მოწყობა – 23 291l;
- სოფ. დანდალო, სანიაღვრე არხების მოწყობა იაშა არძენაძის სახლთან, – 18 315 ლ; რამაზ არძენაძის სახლთან – 36 985 ლ; გიორგი ბერიძის სახლთან საყრდენი კედლის მოწყობა – 22 291 ლ;
- სოფ. აგოთა, სანიაღვრე არხის მოწყობა ჯემალ დუმბაძის სახლთან – 18 865 ლ; სკოლასთან – 7 686 ლ;
- სოფ. სილიბაურში, ზურაბ ჯიჯავაძის სახლთან, სანიაღვრე არხის მოწყობა I ეტაპი – 3 400 ლ; II ეტაპი – 6 339 ლ; ნადიმ კაკაბაძის სახლთან, ბეტონის კედლის მოწყობა – 35 160 ლ;
- სოფ. გულები, ლევან ბერიძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 26 649 ლ; მურად დიასამიძის სახლთან პოლიეთილენის მილის მოწყობა – 27 175 ლ; მინისპორტული მოედნის რეაბილიტაცია – 75 485 ლ;
- სოფ. კუჭულა, სასმელი წყლის გამანაწილებელი ავზის მოწყობა – 84 88 ლ; დავით გორგაძის სახლთან რკინა/ბეტონის კიბის მოწყობა – 6 880 ლ;
- ზვარის ადმ.ერთეულის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ პარკის მშენებლობა – 85 600 ლ;
- სოფ. ცხემნაში მინისპორტული მოედნის რეაბილიტაცია -60 400 ლ;
- 3 (სამი) ერთეული ბეტონის ტიპური შენობის მშენებლობა – 115 052 ლ;
- სოფ. ნამლისევში ბეტონის კიუვეტის მოწყობა – 15 706;
- სოფ. ზესოფელი, შევქეთ გორგილაძის სახლთან, საყრდენი კედლის მოწყობა – 93 786 ლ;
- სასოფლო-საუბნო შიდაგზების რეაბილიტაცია (ბეტონის საფარის დაგება, კიუვეტების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა 63 სოფლის შიდასაუბნო გზებზე) – 2 474 423 ლ;
- მთების ელექტროფიკაცია (საზაფხულო იალაღებზე ელ.ხაზების მშენებლობა) – 200 000 ლ;
- მუნიციპალიტეტის სოფლებში გარეგანათების მოწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# როლანდ ბერიძე: „დარწმუნებული ვარ, ჩემს ქედელებთან ერთად კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებ ქედაში“

**მერიაში მუშაობის გამოცდილება უკვე აქვს. იცის და მზადაა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ქედელების კეთილდღეობისთვის 24 საათის განმავლობაში თავდაუზოგავად იშრომოს. ამბობს, რომ ეს, ფაქტობრივად, იმ საქმის გაგრძელება იქნება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ უკვე დაიწყო და რომელსაც ქედის განვითარების პროცესი ჰქვია. არჩევნებში მონაწილეობაც იმ მიზნით გადაწყვიტა, რომ ამ პროცესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.**

**ქედის მერობის „ქართული ოცნების“ კანდიდატი როლანდ ბერიძე გვიამბობს, რა აკავშირებს ქედასთან, რის გაკეთება შეძლო მერის პირველი მოადგილის თანამდებობიდან და რა გეგმები აქვს მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით.**



დაიბადა 1980 წლის 8 იანვარს დაბა ქედაში.

1997 წელს დაამთავრა ბათუმის №4 საშუალო სკოლა. ამავე წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 2001 წელს და მენიჭა ბაკალავრის ხარისხი. 2001 წელსვე სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის ფაკულტეტის, ფინანსებისა და საბანკო საქმის სპეციალობაზე. სადაც სწავლობდა 2002 წლამდე; 2002-2004 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მაგისტრატურაში და მიენიჭა მათემატიკის მაგისტრის ხარისხი. 2004-2007 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილებაში; 2007-2013 წლებში მუშაობდა „პსპ ჯგუფის“ სარევიზიო საკონტროლო სამსახურში; 2013-2017 წლებში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტში. 2017 წლიდან დღემდე არის ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე. გავლილი აქვს ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების, ასევე სახელმწიფო შესყიდვების კურსები. ფლობს შესაბამის სერთიფიკატებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– 1980 წელს დაბა ქედაში, საგზაო ინჟინერ რევაზ ბერიძისა და მედიცინის მუშაკ ცისანა დიასამიძის ოჯახში დავიბადე. ბავშვობა ლაღი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გამოვიარეთ გაჭირვების წლებიც, ბნელი 1990-იანები. დედამ დაახლოებით 40 წელი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში, ბოლო წლებში – ონკოლოგიურ ცენტრში იმუშავა. მამა მთელი ცხოვრება საგზაო მიმართულებით მუშაობდა და ვამაყობ, რომ ძალიან ბევრი საქმე აქვს გაკეთებული, მთელი რეგიონი იცნობდა და პატივს სცემდა. სამწუხაროდ გარდაცვლილია, რაც ჩემი ოჯახის დიდი ტრაგედიაა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი წელი გავიდა, დავრწმუნდი, დრო არ არის მკურნალი. 37 წლის გახლდით, მამა რომ დაიღუპა და დაკრძალვის მეორე დღესვე მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება არსებითად შეიცვალა. უფროსი შვილი ვარ, ორი უმცროსი ძმა მყავს და შეიძლება ითქვას, ოჯახის მთელი ტვირთი მე დამაწვა. ჩემი პატარა ძმა იყო სტუდენტი, დასაოჯახებელი და ყველაფერი გავაკეთე, სწავლა დაემთავრებინა. მშობლის ფასს და ამაგს ალბათ მაშინ უფრო კარგად ვხვდებით, როცა ვკარგავთ.

**– სამი ვაჟის აღზრდაში ვინ ასრულებდა გადამწყვეტ როლს და მშობლებს აღზრდის რამე განსაკუთრებული მეთოდი ჰქონდათ?**

– შუათანა ძმა, რაულ ბერიძე, 2 წლით უმცროსია ჩემზე. ფაქტობრივად ერთად გავიზარდეთ. ნაბოლარა 12 წლით პატარაა ჩემზე და მასზე განსაკუთრებით ვზრუნავდით. შუათანა ძმა სიცელქით გამოირჩეოდა და ზოგჯერ ვკამათობდით კიდეც. როგორც კი ჩემ ძმას რამეზე გავუბრაზდებოდი, თავს მოისაწყლებდა და მერე დედისგან ყოველთვის საყვედურს მე ვიღებდი. საოცარი დედა მყავს, ჩემი მზე და მთვარეა, მაგრამ ადრე ისიც კი მითქვამს, ჩემი დედა კი არა, ბიცოლა ან დეიდა რომ იყო, ალბათ არც მეყვარებოდი-მეთქი – ძალიან მკაცრი იყო, რაც ადრე არ მომწონდა და მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ სწორად იქცეოდა. მისი დამსახურებაცაა სამივე ძმა წესიერები და წარმატებულები რომ ვართ. ყოველთვის ითხოვდა, რომ მოწესრიგებულები, ზრდილობიანები ვყოფილიყავით და ძალიან კარგად გვესწავლა. სხვათა შორის, სწავლაზე აქცენტს მამაც ყოველთვის აკეთებდა. სულ გვეუბნებოდა, ისწავლეთ და ყველაფერს გავაკეთებ თქვენთვის. მართლაც, სამივე ძმამ თბილისში მივიღეთ განათლება და მამამ იმ გაჭირვებაში ყველაფერი გააკეთა, რომ ჩვენ მინიმალური კომფორტი მაინც გვქონოდა და სწავლაში ხელი არ შეგვშლოდა. მე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი დავამთავრე და მათემატიკის მაგისტრი გახლავართ.

**– მათემატიკური ალღო და აზროვნება კარიერულ წინსვლაში თუ დაგეხმარათ და თქვენი აზრით, პოლიტიკაშიც გამოგადგებათ?**

– ყველგან გამომადგება. ზოგადად, მათემატიკა ნიჭია. მეცნიერებამ დაადასტურა, რომ სამი ნიჭი, რომელიც მშობლისგან შვილს გადაეცემა ეს არის მათემატიკა, ხატვა და მუსიკა. მამა გახლდათ ინჟინერი და მათემატიკა ძალიან უყვარდა და, როგორც ჩანს, მისგან ეს ნიჭი მემკვიდრეობით მივიღე. სხვადასხვა ტურებშიც ვმონაწილეობდი და წარმატებასაც არაერთხელ მივაღწიე. გამოგიტყდებით, პირველ კურსზე რომ ჩავირიცხე, მათემატიკა ალგებრისა და გეომეტრიის გაგრძელება მეგონა. დაახლოებით 26 სახის მათემატიკა ვისწავლე. თავიდან ეჭვიც გამიჩნდა, ალბათ ამას ვერ შევძლებ-მეთქი, მაგრამ ძალა მოვიკრიბე, ბევრი ვიშრომე, ღამეებს ვათევდი. ღამის 10 საათზე ბაგებში, უშუქობის დროს მეცადინეობისას, სანთელზე წიწიბურაც გამიცხელებია... რთული პერიოდიც იყო და არც მათემატიკა აღმოჩნდა მარტივი, მაგრამ მიზანი დავისახე და დავეუფლე ამ პროფესიას. არ მინდა, რომელიმე სხვა პროფესიას უნებურად ჩრდილი მივაყენო, მაგრამ ვიტყვი – მათემატიკური ალღოს წყალობით, ჩემი ცხოვრების, კარიერის არც ერთ საფეხურზე პრობლემები არ შემქნია და დღემდე წარმატებით მოვედი.

**– „წარმატებაში“ რას გულისხმობთ? რამდენიმე სამსახური გამოიცვალეთ. სად იყო თქვენი საქმიანობა ყველაზე ეფექტური?**

– წარმატებაში ვგულისხმობ არა პირად კეთილდღეობას, არამედ შანსს, სხვას გაუმართო ხელი. მიმაჩნია, რომ ადამიანი სწორედ ასეთ დროსაა ბედნიერი. პირველივე სამსახურში მქონდა ბედნიერება, სიკეთე გამეკეთებინა. 24 წლის ახალგაზრდა ვიყავი, როცა აჭარის ჯანმრთელობის სამინისტროში დავიწყე მუშაობა. სამი სამინისტროს რეორგანიზაცია ხდებოდა და სრული ქაოსი იყო. არც კომპიუტერები, არც განაწილებული ოთახები... მისვლიდან 3 დღეში უკვე განცხადების დაწერაზე და წამოსვლაზე ვფიქრობდი, რადგან ვფიქრობდი, რომ იმ ქაოსში ვერაფრის გაკეთებას შევძლებდი. ერთ დღეს დერეფანში მტირალი ქალბატონი შემხვდა. გამოველაპარაკე. რევოლუცია ახალმომხდარი იყო და წინა ხელისუფლების დროს შვილი წავიყვანე საავადმყოფოში, საგარანტიო წერილს ვადა გაუვიდა და ოპერაციას არ უკეთებენ საავადმყოფოდან უნდა გამოაგდონო. მე რა შემეძლო მაშინ? შევიყვანე ერთ-ერთ კაბინეტში, ჩემი ხელით დავუწერე განცხადება და დავატოვებინე კანცელარიაში. 1 კვირის შემდეგ მომაკითხა, თქვენი სახელი და გვარი მინდა, გაზეთში უნდა დავწერო, რომ შვილი გადამირჩინეთო. გეფიცებით, ისეთი ბედნიერი მანამდე არასდროს ვყოფილვარ. 4 სამსახური გამოვიცვალე და ყველგან ვცდილობდი, ხალხისთვის სასიკეთო საქმე გამეკეთებინა. ბოლო, ქედის მერის პირველი მოადგილის პოზიციაზე – მითუმეტეს. არაფერია იმაზე დიდი ბედნიერება, ემსახურო საკუთარ მუნიციპალიტეტს და აკეთო ისეთი საქმეები, რომელიც პირდაპირ ვიტყვი, რომ არა თუ წინა ხელისუფლებების, არამედ 70-წლიანი კომუნისტური მმართველობის დროსაც კი არ იყო გაკეთებული.

**– ასეთი მასშტაბური მნიშვნელობის რა პროექტები განხორციელდა ქედის მუნიციპალიტეტში?**

– ქედის მუნიციპალიტეტში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ორ-სამ პროექტს ვახსენებ და ამით ბევრი იქნება ნათქვამი. ეს იმდენად მასშტაბური პროექტები იყო, რომ მათი გაკეთების, არათუ მოქალაქეებს, მეც კი მეშინოდა. 2017 წლებში მოვედით მერიაში და უკვე 2019-20 წლებში გავაკეთეთ 2 ხიდი. თითოეულის ღირებულება 1 მილიონი ლარია. ამ ორმა ხიდმა დააკავშირა ცენტრალურ გზას 2 სოფელი სადაც არასოდეს, ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მანქანა არ შესულა და ხალხს ფეხით უწევდა გადაადგილება, ტვირთის მიტანა. გულწრფელად გეტყვით, ამაყი ვარ, რომ ეს საქმე გავაკეთეთ. ასევე მოვაწ-



ყეთ ქედაში არაჩვეულებრივი ცენტრალური პარკი, თანამედროვე სტანდარტებით. ყველა სტუმარი აღნიშნავს, რომ ეს ძალიან კარგი პროექტია. სოციალური სახლი ავაშენეთ. მანამდე 12 ოჯახს ბინები გადავეცით... დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო იმ კარგ პროექტებზე, რომლებიც განვახორციელეთ.

**– ბატონო როლანდ, ქედაში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტებია მთავარი მიზეზი, რის გამოც, „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი ხართ?**

– რა თქმა უნდა, ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც ჩამოვთვალე და კიდევ ბევრი სხვა, გაკეთდა „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს. ზოგადად, ქვეყანაში ისეთი ნაბიჯები გადაიდგა ყველა მიმართულებით, რაც მანამდე არ მომხდარა. ყველა ეს პროექტი, მოქალაქეების ინტერესებიდან გამომდინარე დაიგეგმა. „ქართული ოცნებისთვის“ პირველ რიგში ღირებულია ადამიანი. ამის დამადასტურებელია ის, რომ ძალიან ბევრი სოციალური პროგრამა ხორციელდება. მე ჯანდაცვის სამინისტროში ვმუშაობდი და ძალიან კარგად ვიცი, ადამიანებს სახლ-კარის გაყიდვა უწევდათ ოჯახის წევრის გადასარჩენად. დედაც მედიკოსი მყავს და პირდაპირ ვიტყვი, რომ არა ჯანდაცვის ის პროგრამა, რაც დღეს ქვეყანაში მოქმედებს, ჩემს ირგვლივ ბევრი ადამიანი დღეს ცოცხალი არ იქნებოდა. სოციალური, ჯანდაცვის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის დაცვის, განათლების მიმართულებით, ხელისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს, ქვეყნის განვითარებას ცდილობს და ასეთ დროს, შეუძლებელია არ იდგე ამ გუნდის გვერდით.

**– ხელისუფლება პანდემიის მართვის მიმართულებითაც სწორ ნაბიჯებს დგამს?**

– პანდემიის დროს სრულიად ორგანიზებული იყო როგორც პოლიტიკური გუნდი, ასევე აჭარის მთავრობა და მუნიციპალიტეტები და ეს ჩვენს აქტივობებშიც ჩანს. მერიის თითოეული თანამშრომელი, ყოველდღიურ რეჟიმში, ჩვენი ავტომობილებით, მაქსიმალურად ვეხმარებოდით მოსახლეობას როგორც პაკეტების მიწოდებაში, ასევე ბათუმიდან მედიკამენტების ამოტანაში. პანდემიის მართვა ნამდვილად ეფექტური იყო. ესეც იყო ერთ-ერთი მტკიცებულება ჩემთვის, რომ ნამდვილად უალტერნატივო გუნდის წევრი ვარ, რომელსაც ქვეყანა სწორი გზით მიყავს და კურსიც სწორად აქვს შერჩეული.

**– საგარეო კურსს გულისხმობთ?**

– დიახ და ვამბობ, რომ ეს კურსი პროდასავლურია. ვინც საპირისპიროს ამტკიცებს, გამცეს პასუხი კითხვებზე: რომელი ხელისუფლების პირობებში მოვაწერეთ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი? როდის გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები ნატოსთან და ევროკავშირთან მიმართებაში? როდის იყო ასეთი მხარდაჭერა დასავლეთიდან? რაც არის იმის აღიარება არ უნდათ და რაღაც ბრალდებებით აპელირებენ. ბოლო არჩევნებზეც ასე მოხდა. ერთი ფაქტი დამიდონ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა და ბოდიშს მოვიხდი. თუმცა, მე შემიძლია მათ დავუსახელო ძალიან ბევრი ფაქტი, რომ ისინი იქცეოდნენ ცუდად. არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია არ ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა. და ვიღაც ჯგუფები თავისი ვიწრო პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას. მათ ეტყობა არ უდევთ საზოგადოების პულსზე ხელი და ვერ ხედავენ საზოგადოება რას გრძნობს.

**– თქვენ თუ გიდევთ ქედის მოსახლეობის პულსზე ხელი, მითხარით, რა გამოწვევის წინაშეა დღეს მუნიციპალიტეტი და თქვენ რა გეგმები გაქვთ?**

– ყოველდღიური შეხვედრები გვაქვს მოქალაქეებთან. წინა წლებში მოდიოდნენ და აყენებდნენ საჭიროებებს, რომელთა გაკეთება, მართლაც კარგი იყო, თუმცა ბიუჯეტს იმ წუთში იმისთვის არ ეცალა. დღეს ვითარება შეცვლილია. ბოლო 4 წელიწადში ჩვენ უკვე ძალიან სერიოზული პრობლემები გადავწყვიტეთ და კრიტიკული გამოწვევები უკვე ან არ გვაქვს, ან გვაქვს ძალიან ცოტა. ჩვენი ამოცანა ახლა უკვე იქნება მუშაობა სოფლის ცენტრების, ადმინისტრაციული შენობების – სოფლების კლუბების თუ კულტურის სახლების კეთილმოწყობაზე. ცხადია, დასრულდება გაზიფიკაციის პროცესი და უკვე, ისეთ პროექტებზე გადავალთ, რომლებიც კომფორტის ზონად შეიძლება ჩავთვალოთ. მოსახლეობას დღეს რომ ჰკითხოთ რა უნდა, ერთ-ერთ უპირველეს საკითხად ინტერნეტს დაასახელებს. უკვე აქამდე მივედით, რაც ძალიან მსიამოვნებს. გაცხადებული პროგრამაა, რომ 2025 წლამდე ინტერნეტი ყველგან იქნება. ჩვენ უკვე გადავდივართ ისეთი სფეროების მაქსიმალურ ხელშეწყობაზე, რომელიც არის ქედის მუნიციპალიტეტის განვითარების მთავარი პერსპექტივა.

**– ტურიზმს გულისხმობთ თუ სოფლის მეურნეობას?**

– ორივეს. ვფიქრობ, ეს ორი სფერო ერთმანეთზეა დამოკიდებული – განვითარდება ტურიზმი, განვითარდება სოფლის მეურნეობაც. ამის ბევრი ფაქტი გვაქვს ქედაში. ბოლო წლებში 4-5 ლოკაციაზე, გაიხსნა სხვადასხვა საოჯახო სასტუმრო, კემპინგი, შატო. როგორც კი საზღვრები გაიხსნა ტურისტები გამოჩნდნენ. ასევე გვაქვს ცნობილი ლოკაცია მახუნცეთი, თუმცა 3-4 წლის წინ, ტურისტი მახუნცეთს არ სცდებოდა. დღეს სხვა მიმართულებითაც მიდის და რჩება დასათვალიერებლად. გეტყვით იმასაც, რომ რაც ჩამოვთვალე, ყველა ამ პროექტის განხორციელებისას, მერია დაეხმარა მეპატრონეს გზის კეთილმოწყობით. ჩვენ თავიდანვე გვქონდა გაცხადებული პოლიტიკა, რომ თუ ვინმე რაიმე სასურველ პროექტს გააკეთებს, სადაც მინიმუმ 2 კაცს დაასაქმებს, გზას, წყალს მივუყვანთ. მომავალშიც, არაერთ მნიშვნელოვან პროექტს განვახორციელებთ ჩვენი ქედელებისთვის.

**– ისე საუბრობთ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ.**

– გამარჯვებაშიც და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ პირველივე ტურში ყველაფერი დასრულდება ჩვენი გამარჯვებით. ამის საფუძველს მაძლევს არა მხოლოდ ჩვენი გაკეთებული საქმეები, არამედ, ყოველდღიური შეხვედრა მოსახლეობასთან. ასევე, მათგან წამოსული ემოცია. ქედელებმა დაინახეს ჩემი ხასიათი, რომ არასდროს არავის მოვატყუებ. მათი მხარდაჭერის იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, ჩემს ქედელებთან ერთად, კიდევ ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებ ქედაში.

**– ქართველი მუსლიმების მხარდაჭერასაც თუ გრძნობთ და მათთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

– დიახ. ქართველ მუსლიმებს უდიდეს პატივს ვცემ. ბაბუაჩემი, მამის მამა, მუსლიმი იყო, დღე და ღამ ლოცულობდა და მე დღეს, სრულიად გულწრფელად გეუბნებით, როგორც აღდგომას გავდივარ საფლავზე, ასევე ყველა ბაირამის დღესასწაულზე, გავდივარ ჩემი ბაბუის, ბებიისა თუ სხვების საფლავებზე. ჩემი მუსლიმების მხარდაჭერის იმედიც მაქვს. ქედის მერობის კანდიდატად დასახელება, ჩემთვის უდიდესი პატივია. ნდობის გამოცხადებისთვის გუნდის მადლიერი ვარ. ამასთანავე, ქედის მერობა არის უდიდესი პასუხისმგებლობა. ვიცი როგორი 4 წელი მელოდება. ვიცი, რომ ეს არის 24-საათიანი შრომა, თავდაუზოგავი ბრძოლა იმისთვის, რომ თითოეულმა ქედელმა თავი უკეთ იგრძნოს, ვიდრე იყო გუშინ. ამისთვის მზად ვარ, რადგან მინდა, ქედის განვითარებაში წვლილი შევიტანო.




# როლანდ ბერიძის ოჯახი

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროში მუშაობისას აჭარის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულების მონიტორინგს ახორციელებდა. ობიექტებზე, სადაც ბევრი საქმე იყო, თვეში ერთხელ შედიოდნენ. სხვა ობიექტებს კი – 3 ან 6 თვეში ამოწმებდნენ. 6 თვეში ერთხელ შესამოწმებელ საავადმყოფოთა სიაში იყო წარმატებული და მოწესრიგებული – ქობულეთის სამშობიარო სახლი.

ერთ-ერთ მორიგ მონიტორინგზე, ქობულეთის სამშობიაროში, ულამაზესი ოფის-მენეჯერი შეამჩნია. ინტერესის ობიექტი სოფი ოქროპირიძე აღმოჩნდა. მომდევნო თვეშიც შეიარა სამშობიაროში. გარკვეული პერიოდის მერე, უკვე როლანდ ბერიძის ცოლის სტატუსის მქონე სოფი ოქროპირიძეს თანამშრომლებმა ხუმრობით უთხრეს, გეთქვა, რისთვის დადიოდა სამშობიაროში, ტყუილად რომ ვნერვიულობდითო.

ორი შვილი ჰყავთ: რეზი 14 წლის გახდება 9 ნოემბერს. მეგი კი – 2 ნოემბერს მე-9 დაბადების დღეს იზეიმებს. ასაკის შესაბამისად, ორივემ ძალიან კარგად იცის ინგლისური და ორივეს, მამისგან, მათემატიკის ნიჭი გენეტიკური მემკვიდრეობით ერგო. ერთი პერიოდი რეზი სპორტითაც იყო გატაცებული და ფეხბურთს საკმაოდ კარგად თამაშობდა.

როცა რეზი შეეძინა ყველა ურეკავდა და ულოცავდა. ჯანმრთელი და წარმატებული ბიჭის გაზრდას უსურვებდნენ. მეგის დაბადება კი რატომღაც ყველამ უცნაურად მიულოცა – „გილოცავ. ნახე, რას გიზამს!“ – ეს ფრაზა ყურში იმდენჯერ მოხვდა, ორი გოგოს მამას, თავის ძმას ჰკითხა, ბოლო ბოლო გამაგებინეთ რას მიზამსო. „გაგაგიჟებს და ჭკუიდან გადაგიყვანს“, – უპასუხა ძმამ. დღეს ხვდება, რომ გოგონები, მართლაც მამების გასაგიჟებლად იბადებიან.

როცა ძალიან დაღლილია, მეგის ურეკავს. გოგოსთან 2-3-წუთიანი საუბარიც საკმარისია, რომ დაღლილობა გადაავიწყდეს, ძალები მოიკრიბოს და გახალისდეს.

რეზისთან კი სულ სხვაგვარი საუბარი აქვს – რადგან ხშირად ვერ იცლის, როგორც კი დროს გამონახავს, ან ისეთ საქმეზეა წასასვლელი, სადაც რეზიც შეიძლება ახლდეს, ბიჭს მანქანაში ჩაისვამს და ელაპარაკება. ამ დროს ყველაფერზე საუბრობენ. ცდილობს, ასე აანაზღაუროს დრო და ყურადღება, რომელსაც შვილს სამსახურის გამო აკლებს და რომელიც 14 წლის ბიჭს ასე სჭირდება.

როცა ქედაში, მერიაში გადავიდა სამუშაოდ, მეგი პატარა იყო. ვერ ხვდებოდა, მამა რატომ არ მოდიოდა ყოველ დღე სახლში. ერთხელ ისიც კი ჰკითხა, სამსახურში ასეთი რა დააშავე, რომ მანდ გაგიშვესო. დღეს მეგიმ იცის, რომ მამას „არაფერი დაუშავებია“. იცის ისიც, რომ მამა პირიქით ბედნიერია, რადგან კარგ საქმეებს მშობლიურ მუნიციპალიტეტში აკეთებს. ამიტომ აღარ საყვედურობს. უბრალოდ იმის გარკვევას ცდილობს ხოლმე, როდის მივა სახლში.

თავისუფალი დრო რომ გამოუჩნდება, გული სახლისკენ, ოჯახისა და მეგობრებისკენ მიუწევს. აქაა მისი ნავსაყუდელი, მისი ორი სიცოცხლე და მისი ოჯახის საყრდენი – მეუღლე, რომელმაც შვილების აღზრდის და იმის გამო, რომ მეგის დისტანციური სწავლების დროს სწავლის მხრივ პრობლემები არ შექმნოდა, სამსახურიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო და დღეს დიასახლისია. მეუღლე მისი ყველაზე დიდი გულშემატკივარი და მხარდამჭერიცაა, რადგან ყველაზე კარგად მან იცის, რომ როლანდ ბერიძისთვის უდიდესი ბედნიერება და პატივია, ემსახუროს ქედას და ქედელებს.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ქედის მუნიციპალიტეტზე** გამოყოფილია 20 118 398 ლარი, დაფინანსდა 49 045 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (928 492,9 ლარით 78 424 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (2 972 645 ლარით 32 341 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (10 386 555 ლარით, 8 916 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (3 320 443 ლარი, 3 428 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 114 741 ლარით, 1 877 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (826 214 ლარით, 1 183 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ქედის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 2 747 ბენეფიციარი (183 075 ლარი)  2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. 2020 წელს ქედის მუნიციპალიტეტში **იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი** 82,2% იყო. **ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება. 2013 წლის შემდეგ, პროგრამით ქედაში, 80-მა პაციენტმა ისარგებლა სტაციონარული მკურნალობით (194 096 ლარი), ხოლო ამბულატორიული მომსახურებით 1 434-მა (108 577 ლარი). **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებლი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღები იყო 3 444 ორსული (197 436 ლარი), საჭირო მედიკამენტებით უზრუნველყოფილია 742.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ქედის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 195 პირი, დაიხარჯა – 48 246 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობისთვის სამედიცინო დახმარების მიწოდება. ქედაში, 2013-2021 წლებში სულ 144 შემთხვევა 320 804 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა.** პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ქედის მუნიციპალიტეტს 23 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

## ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** დაბა ქედის ამბულატორიის მშენებლობა (45000 ლ), პირველადი სამედიცინო პუნქტების მშენებლობა სოფ. დოლოგანში (20 000l), არსენაულში (30 000 ლ), მეძიბნაში (25 000 ლ), სოფ. ზვარეში ამბულატორიის რემონტი (15000l), სოფ. დოლოგანის ამბულატორიის მშენებლობა (48 361 ლარი), ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა – დაბა ქედა, თამარ მეფის №9, არსებული შენობის საცხოვრებელ ბინებად მოწყობა 12 ოჯახისათვის (413 722 ლ).

2013 წელთან შედარებით 5.1 – ჯერ გაიზარდა **მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 402,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 77,7 ათასი ლარი იყო. ქედაში, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში ხორციელდება **3 მუნიციპალური პროგრამა:** ამბულატორიული მომსახურეობის, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობისა და თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის.

**ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:**

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- **მუნიციპალიტეტში დაგეგმილია:** დოლოგნის ამბულატორიის მშენებლობა და ავტომანქანის შეძენა. მღოლების ხელფასის გაზრდა 50 ლარით (350 ლარის ოდენობით). ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ ამბულატორიების რემონტი.
- თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის. ბენეფიციარების სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი, სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, სოციალურ პრობლემების მოგვარებაში დახმარება. ბენეფიციარების და მათი ოჯახის წევრების ელემენტარული ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.



# სოციალური დაცვა

**2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.**

**2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები:** 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ქედის მუნიციპალიტეტში,** სახელმწიფო პენსიის მიმღებია 3026 პირი (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, თითქმის 2,8-ჯერ – 3 633 251 ლარიდან 8 336 190 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, ქედაში, სულ 52 140 548 ლარი დაიხარჯა.

**სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის** გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ქედაში** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04.2021 წ. მდგომ.) 55 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 2,7-ჯერ – 71 824-დან 198 938 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 1387 743 ლარი გაიცა.

**მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში,** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. **ქედაში** სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 1 330 ოჯახია (01.04.2021 წ. მდგომ,). 2012 წლის შემდეგ 3,1-ჯერ – 957 ათასიდან 2 979 000 ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2020 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 17 923 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 2 319 ათასი, შშმ პირებზე – 1527 ათასი, ბავშვებზე – 7 223 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ქედაში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 1 196 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 6-ჯერ – 348 451-დან 2 116 282 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 13 731 106 ლარი. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით (**მესამე და მომდევნო ბავშვი) ქედაში, დაფინანსებულია 297 ბენეფიციარი (1.04,2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 2 017 900 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 463 600 ლარი.



**ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ:** სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება, საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ქედის მუნიციპალიტეტზე – 2 868 820 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ქედის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 1133, 2021 წელს – 1266 ოჯახი. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით, ქედაში, 2020 წელს, ისარგებლა 278-მა ოჯახმა, 2021 წელს – 290-მა ოჯახმა (ივნისის მონაცემებით). **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ქედაში, პროგრამაში 2020 წ. ჩაერთო 312 პირი, 2021 წ. – 324 (ივნისის მდგომარეობით).

**„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის** დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო სააგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

**დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში, დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციის სახით** (6 თვე თვეში – 200-200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით, 2020 წ. კომპენსაცია ჯამში მიიღო 162 271-მა ერთეულმა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით, **1.7-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 329,6 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 191,716 ათასი ლარი იყო.

**ქედაში, 2012-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა.** მათ შორის: ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილის შვილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების, ხუთ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების, სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის, ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების უზრუნველყობის, საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის, ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლების შეძენის, 0-დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა მოვლის საჭიროებისათვის მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფის პროგრამები და სხვ.

**სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:**

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები;
- 2022-2024 წლებში, დამატებით ამოქმედდება პროგრამები, რომლის ფარგლებში განხორცილდება უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა და ვეტერანის დღესთან დაკავშირებით ფინანსური დახმარების გაწევა – ვეტერანებისათვის ღირსეული პატივის მიგება.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41

# განათლება

**განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2012 წლის შემდეგ, საქართველოში განხორციელდა ფუნდამენტური სისტემური ცვლილებები მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. მათ შორის, შეიქმნა განათლების სისტემის ფინანსური მდგრადობის უზრუნველმყოფი საკანონმდებლო გარანტიები, დაიხვეწა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის მარეგულირებელი კანონმდებლობა, დადგინდა და დაინერგა ძირითადი სტანდარტები.**

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

**2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა,** ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

**2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.



ქედა, წონიარისის საბავშვო ბაღი

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

## სკოლამდელი აღზრდა და განათლება

**სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.**

ქედაში ფუნქციონირებს 15 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – დაბაში, ხოლო 13 – სოფლად.

**2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. გაიზარდა ქედაში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება:** 2013 წელს განათლების სფეროს ხარჯები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით 576 425 ლარი იყო, 2020 წელს კი შესაბამისი ხარჯები 1,7 მლნ ლარით განისაზღვრა.

**2014-2020 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: 2014 წელი** – ქედაში ბაგა-ბაღის მშენებლობა და ინვენტარის შეძენა (260 ათასი ლარი), დანდალოს ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია და ინვენტარის შეძენა (119 ათასი ლარი), ვაიოს ბაგა-ბაღის შენობის რეაბილიტაცია (167,7 ათასი ლარი), ახოს ბაგა-ბაღის მოწყობა (123 ათასი ლარი), დოლოგანში ბაგა-ბაღის მოწყობა (137,1 ათასი ლარი); **2015 წელი** – მახუნცეთის თემის სოფელ ნამლისევში ბაგა-ბაღის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა (260,5 ათასი ლარი); ცხმორისისა და წონიარისის ბაგა-ბაღების მოწყობა (10,8 ათასი ლარი); ცხმორისისა და მერისის ბაგა-ბაღების რემონტი (41,8 ათასი ლარი); ქედის №1 ბაგა-ბაღის ეზოს კეთილმოწყობა (58 ათასი ლარი); **2016 წელს** – ნამლისევში ბაგა-ბაღის ინვენტარით აღჭურვა (29 644 ლარი); ოქტომბრის ბაგა-ბაღის მშენებლობა (290 337 ლარი); ქედის №1 ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა (33,1 ათასი ლარი). **2017 წელს** გარემონტდა დოლოგნის ბაგა-ბაღი და კეთილმოეწყო ეზო (68 870 ლარი). **2017-2018 წლებში** გარემონტდა წონიარისის ბაგა-ბაღი და მოეწყო ეზო (124 676 ლარი); **2018 წელს** სარეაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ჩატარდა სოფელ მერისისა (40 ათასი ლარი) და ხარაულის (60 ათასი ლარი) საბავშვო ბაღებში. **დასრულდა** საბავშვო ბაღის შენობის რეკონსტრუქცია და დამატებითი ფლიგელის მიშენება სოფელ ზუნდაგაში (760,5 ათასი ლარი, აჭარის ბიუჯეტი). **2018-2019 წლებში** გარემონტდა ბაღები და კეთილმოეწყო ეზოები სოფ. 1 მაისსა (167 500 ლარი) და ახოში (129,3 ათასი ლარი). სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა სოფელ დანდალოს (22, 5 ათასი ლარი), ხარაულასა ( 15, 1 ათასი ლარი) და დაბა ქედის (ყ. შერვაშიძის ქუჩა – 37, 9 ათასი ლარი)

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

საბავშვო ბაღებში. **2021 წელი** – მიმდინარეობს დაბა ქედის №1 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია (253 776,71 ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, ქედის საბავშვო ბაღებში 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, აღსაზრდელთა რაოდენობა 356-დან 654-მდე გაიზარდა. 2,50 ლარამდე გაიზარდა კვების თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, რითაც სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი.

ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 **სასკოლო მზაობის ჯგუფი,** რომელშიც 69 ბავშვი და 4 აღმზრდელ-პედაგოგია. 11 ბაღის შერეული ჯგუფებში კი 106 ბავშვია. საბავშვო ბაღებში სულ დასაქმებულია 66 აღმზრდელ-პედაგოგი და 38 აღმზრდელი. უზრუნველყოფილია **ექიმისა და ფსიქოლოგის** მომსახურება. სასკოლო მზაობის პროგრამის ხელშესაწყობად, 2017 წელს 50 აღმზრდელ-მასწავლებლი გადამზადდა. **2019-2020 წლებში –** არასამთავრობო ორგანიზაცია დემოკრატიული ინსტიტუტის დაფინასებით, გადამზადდნენ ბაღის მზარეულები და მზარეულის თანაშემწეები.

## ზოგადი განათლება

**მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 29 საჯარო სკოლა,** სადაც 2 056 მოსწავლე და 603 მასწავლებელია, მათგან 16 – სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ 2020 წლის მაისის მდგომარეობით ქედაში იდენტიფიცირებულია 48 სსსმ მოსწავლე.

**2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ქედის მუნიციპალიტეტში, განახორციელა სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის:** 2013-2019 წლებში **საჯარო სკოლის ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამით 27 საჯარო სკოლის (114 მიმართულება) 1 306-მა მოსწავლემ ისარგებლა; 2013-2017 წლებში, ქედაში გამოვლინდა 10 ვერცხლისა და 30 ოქროს მედალოსანი, 2018-2019 წლებში, 22 ოქროსა და 16 ვერცხლის მედალოსანი; 2020 წელს – 8 ოქროსა და 10 ვერცხლის მედალოსანი; 2017-2019 წლებში საჯარო სკოლებში 29677 სახელმძღვანელო და 1 215 სასკოლო ჟურნალი უსასყიდლოდ გაიცა. 2017-2019 წლებში, პორტაბელური კომპიუტერები (ბუკი) გადაეცა 569 პირველკლასელს, 137 – დამრიგებელსა და 49 – წარჩინებულ მოსწავლეს; **სასკოლო აქტივობების** ხელშესაწყობად დაფინანსდა 76 პროექტი; 2018-2019 წლებში **რადიოტექნოლოგიით და გაუმჯობესებული** კავშირის სიჩქარით უზრუნველსაყოფად 52 პროექტი განხორციელდა.

**2020 წელს** აჭარის ა/რ **მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების** (ქედა, შუახევი, ხულო) საჯარო სკოლებში მასწავლებელთა დეფიციტის აღმოფხვრისა და დასაქმების ქვეპროგრამით, დასაქმდა 28 მასწავლებელი (274 772,85 ლარი), ხოლო **2021 წელს –** 27 მასწავლებელი (280 000 ლარი), 2022–2024 წლებში ქვეპროგრამა გაგრძელდება ყოველწლიური ბიუჯეტით 400 000 ლარი.

**2014-2021 წლებში აჭარის ა/რ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფრასტრუქტურული პროგრამებით,** დასრულდა ძენწმანის საჯარო სკოლის საყრდენი კედლის გამაგრებითი სამუშაოები (6,4 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა ოქტომბრის (430,3 ათასი ლარი) და დანდალოს (431,3 ათასი ლარი) საჯარო სკოლებს; 2 საჯარო სკოლაში (წონიარისი და ქედა) მოეწყო სამედიცინო ოთახი (18 ათასი ლარი); **საპანსიონო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ინვენტარით აღჭურვა** – დასრულდა მერისის საჯარო სკოლის საპანსიონო კორპუსის რეაბილიტაცია, პანსიონი აღიჭურვა ინვენტარითა და საოჯახო ტექნიკით; **აჭარის ა/რ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების ინვენტარით უზრუნველყოფა** – ახოს №1, ოქტომბრისა და დანდალოს საჯარო სკოლები აღიჭურვა ინვენტარით; ქვედა მაცხუნეთის საჯარო სკოლა აღიჭურვა ლაბორატორიით (ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კომპლექტი), სულ დაიხარჯა – 180 ათასი ლარი; **სპორტის განვითარების ხელშეწყობა სკოლებში** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა მერისისა და კოლოტაურის საჯარო სკოლების სპორტულ დარბაზებს (64,5 ათასი ლარი), ვაიოს საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზებს (64,5 ათასი ლარი), ხარაულასა (79,5 ათასი ლარი) და ქვედა მაცხუნეთის (92,8 ათასი ლარი) სკოლების სპორტულ დარბაზებს; **საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების განვითარების პროგრამა** – 23 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკა შეივსო ახალი წიგნებით (სულ 9200 წიგნი);

განხორციელებული პროგრამების შედეგად, 6 სკოლა უზრუნველყოფილია ფიზიკის ქიმიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიით (მერისი, ქვედა მახუნცეთი, მახუნცეთი, წონიარისი, ცხმორისი, დაბა ქედა), 13 სკოლაში განახლებულია სასკოლო ინვენტარი, 4 სკოლა უზრუნველყოფილია სპორტული ინვენტარით ახოსა და დაბა ქედის სკოლა სარგებლობს ფიზიკის ელექტრონული ლაბორატორიით. **ასევე: 2017 წელს** – რეაბილიტაცია ჩაუტარდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს სოფლებში: ახო, ცხმორისი, პირველი მაისი, წონიარისი. **2018-2019 წელს** – სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება ძენწმანის საჯარო სკოლას. მერისის სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი; **2019 წელს** – დაბა ქედის სკოლის ნაწილობრივ რეაბილიტაციასა და ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობაზე 1 მლნ 444, 4 ათასი ლარი დაიხარჯა. **2020 წელს** სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა დანდალოს №1 სკოლის სპორტულ დარბაზს (236, 3 ათასი ლარი). **2021 წელს** მოეწყო წონიარისის და დოლოგნის სკოლების ღია მოედნები. ამავე წელს დასრულდება დაბა ქედის სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა (ჯამურად 1 მლნ 444 ,4 ათასი ლარი); განხორციელდება გეგელიძეების, ვაიოს, ახოს №1 სკოლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. **2020 წლის მონაცემებით,** მუნიციპალიტეტში, ფუნქციონირებს 31 ადაპტირებული საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილია 20;

## პროფესიული განათლება

**ქედაში, 2020-2021 სასწავლო წლიდან ამოქმედდა კოლეჯის „ბლექსი“ ახალი, თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ბაზა, სადაც პირველ ეტაპზე მეფუტკრეობის მიმართულების პროფესიული პროგრამა იქნება ხელმისაწვდომი. კოლეჯი მსურველებს ასევე შესთავაზებს მომზადება-გადამზადების კურსებს მასპინძლობისა და საოჯახო მეურნეობის მართვისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით. პროექტი აჭარის მთავრობის, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა.**

2021 წლის მდგომარეობით, ქედის მუნიციპალიტეტში, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების 1 პროგრამაა ხელმისაწვდომი, რომელსაც ა(ა)იპ საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელი ახორციელებს.

## უმაღლესი განათლება

**უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, სოციალური პროგრამით,** 2013-2016 წლებში, ქედის მუნიციპალიტეტიდან დაფინანსდა 72 სტუდენტი, რომელიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდა და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღო მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში: 2013-2016 წ.წ. თითოეულ წელს – 18 სტუდენტი. 2016-2017 ს/წელს – 18, 2017-2018 ს/ წელს – 18 სტუდენტი.

**2018 წლიდან, სოციალური პროგრამით, დაფინანსება მოიცავს აჭარის რეგიონს მთლიანად** (5 მუნიციპალიტეტი) და მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულთა დაფინანსებას. 2018-2019 ს/წელს აჭარის რეგიონიდან დაფინანსდა 41 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს – 41 , 2020-2021 ს/წელს – 41 სტუდენტი.

მაღალმთიანი სტატუსის მქონე სკოლების კურსდამთავრებულთა გარდა, ფინანსდებიან ობოლი, უდედმამო სტუდენტები. ასევე, სტუდენტები მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი, მარტოხელა სტსტუსის მქონე ოჯახებიდან და შშმ პირები.

**2018 წელი –** სტუდენტთა დახმარების ქვეპროგრამით დაფინანსდა 899 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (962 200 ლარი); **2019 წელი –** დაფინანსდა 891 სტუდენტი და დაჯილდოვდა 71 წარჩინებული სტუდენტი (950 400 ლარი); **2020 წელი –** 715 სტუდენტი (758 314 ლარი); **2021 წელი –** დაფინანსდება 1280 სტუდენტი (1 390 000 ლარი).

## „ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- მიმდინარეობს უნივერსიტეტებთან მემორანდუმის გაფორმება, ახალგაზრდა კადრების მოსაზიდად. მიმდინარეობს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების პოპულარიზაცია.
- სკოლამდელ-დაწესებულებებში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის აღმზრდელ-პედაგოგები გაივლიან სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ტრენინგ-მოდულს. დაგეგმილია აღმზრდელ-პედაგოგების ხელფასების მატება.
- 2021-22 წლებში დაგეგმილია ბაღის პერსონალის გადამზადება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდულის შესაბამისად. რაც უზრუნველყოფს ხარისხიან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიწოდებას. 15 ბაგა-ბაღის ინტერნეტით უზრუნველყოფა.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის, დაგეგმილია – 2022 წლისთვის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია დაბა ქედაში (№2 საბავშვო ბაღი) და სოფლებში: ვაიო, ცხმორისი, დოლოგანი, ნამლისევი, მახუნცეთი (აწჰესის დასახლება). 2024 წელს – მახუნცეთის ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობა (150 ათასი ლარი). 2025 წლისთვის – დანდალოსა და ქედის №2 ბაგა-ბაღის რეაბილიტაცია. ინკლუზიური ბავშვებისთვის ადაპტური გარემოს შექმნა. ბაგა-ბაღის ეზოების მოწყობა სტანდარტის შესაბამისად. უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- დაგეგმილია მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ინტერნეტით უზრუნველყოფა.
- წელიწადში ორჯერ ბაგა-ბაღებში სურსათის უვნებლობის მიერ ჩატარდება მონიტორინგი, ასევე, ყოველწლიურად განხორციელდება სასმელი წყლის სინჯების აღება და ლაბორატორიული კვლევის ჩატარება.
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ქედაში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: სოფელ ახოს №1 საჯარო სკოლის, გეგელიძეებისა და ვაიოს საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაცია – 465,9 ათასი ლარი;
- „ბლექსის“ ახალ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ქედის სასწავლო ბაზაზე გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების რაოდენობა;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი;
- ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

**ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41**

# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

**„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ქვეყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.**

## კულტურა

**ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები:** ა(ა)იპ ქედის ისტორიული მუზეუმი, სოფელ გეგელიძეებში ფრიდონ ხალვაშის სახელობის სახლ-მუზეუმი, ა(ა)იპ ქედის კულტურის ცენტრი, ქედის კულტურის ცენტრის საბიბლიოთეკო განყოფილება და ქედის მოსწავლე ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილება, ა(ა)იპ ქედის სახელოვნებო სკოლა.

კულტურის ცენტრთან ფუნქციონირებს ანსამბლები – ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „ელესა“,გოგონათა ფოლკლორული ანსამბლი „იაგუნდი“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბეთლემი“, მერისის კულტურის სახლთან არსებული ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი „მოყვარე“, ცხმორისის კულტურის სახლთან არსებული უხუცესთა ქორეოგრაფიული ანსამლი „ფესვები“.

**2013 წელთან შედარებით გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება. 2013 წელს კულტურის სფეროს ხარჯები 572 460 ლარი იყო, 2020 წელს შესაბამისი მაჩვენებელი 753 500 ლარით განისაზღვრა.**

**2020 წლის მონაცემებით,** ქედის სახელოვნებო სკოლაში 176 მოსწავლე ეუფლება ხელოვნების სხვადასხვა სახეობას. ქედის კულტურის ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობასთან მუშაობის განყოფილების სხვადასხვა წრეში ირიცხება 95 მოსწავლე. ქედის ისტორიულ მუზეუმში ეწყობა ყოველწლიური ღონისძიება „ფრიდონობა“, ასევე მოეწყო დაზვერვითი ექსპედიციები.

**2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში.** მუნიციპალიტეტში ტარდება მნიშვნელოვანი თარიღებისადმი (ბიბლიოთეკის დღე, დედა ენის დღე, ბავშვთა საერთაშორისო დღე და სხვ.) მიძღვნილი ღონისძიებები, ეწყობა მხატვართა გამოფენები, იმართება პოეზიისა და საიუბილეო საღამოები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები, ტარდება კონცერტები.

**2019 წელს** სამინისტროს ხელშეწყობით, მაღალმთიანი რეგიონებისთვის კულტურული ცხოვრების ხელმისაწვდომობის მიზნით, ქედის მუნიციპალიტეტში ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტები თბილისის ნიჭიერთა ათწლედის მოსწავლეთა მოანაწილეობით.

აჭარის ა/რ მასშტაბით, მათ შორის ქედის მუნიციპალიტეტში, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის მიზნით, 2019 წელს განხორციელდა სამინისტროს მიერ დაფინანსებული პროექტი **„დასავლეთ საქართველოს ცნობილი და უცნობი კულტურული მარშრუტები“** (32,315 ლარი).

ქედის მუნიციპალიტეტს ფარავს ევროპის საბჭოს **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“** და სამინისტროს მიერ სერტიფიცირებული მარშრუტი **„წმ. ანდრიას გზა“,** რომელიც ხელს უწყობს ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას.

**2020 წელს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების კონკურსის ფარგლებში,** სსიპ შემოქმედებითი საქართველოს მიერ დაფინანსდა პროექტი /სტარტაპი – ხის სათამაშოების პროტოტიპების შექმნა აჭარული ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტებზე (5 000 ლარი);

**2019-2021 წლებში,** კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, დაფინანსდა სხვადასხვა პროექტი – საერთო თანხამ კი 184 773 ლარი შეადგინა;

**2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: 2014 წელი** – ცხმორისის კულტურის სახლის რემონტი და ინვენტარის შეძენა (48,3 ათასი ლარი);

**2015 წელი** – ზვარის თემის ადმინისტრაციული შენობისა და კულტურის სახლის მშენებლობა და ინვენტარით აღჭურვა (78,1 ათასი ლარი); საღორეთის კლუბის ეზოს კეთილმოწყობა (6 ათასი ლარი); ცხმორისის კულტურის სახლის რემონტი და ინვენტარის შეძენა (33,8 ათასი ლარი); **2016 წელს** საზეიმოდ გაიხსნა ცხმორისის რესტავრირებული კულტურის სახლი.

**2017-2019 წლებში,** ტურისტული ინფრასტრუქტურა მოეწყო: სოფელ ქვედა მახუნცეთის ტერიტორიაზე (790 ათასი ლარი), საღორეთის თაღოვან ხიდთან (53,9 ათასი ლარი), სოფელ პირველ მაისში ცივასულას ციხესთან (66 ათასი ლარი), გუნდაურში, გვახასა და ჭინჭარის ჩანჩქერებთან (52 ათასი ლარი); ზედა და ქვედა ბზუბზუს (43,956 ლარი), წონიარისის (34,361 ლარი), გოდერძისა და ძენწმანის (53,318 ლარი), მერისში გარეკუნის (25,385 ლარი) ჩანჩქერებთან.

2021 წელს დაბა ქედაში **მიმდინარეობს** მუზეუმის მშენებლობა, რაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან – 373,6 ათასი ლარით დაფინანსდა.

## სპორტი

**ქედის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ქედის სასპორტო სკოლა. შ.პ.ს საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ და შ.პ.ს სარაგბო კლუბი „ფირალები.“**

**2020 წელს სპორტის ხარჯები 633 625 ლარით განისაზღვრა. 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 308 744 ათასი ლარი იყო.**

მუნიციპალიტეტის სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: თავისუფალი ჭიდაობა, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, კალათბურთი, ჭადრაკი, ქართული ჭიდაობა, კიკბოქსინგი, ფრენბურთი და რაგბი.

დაბა ქედის სასპორტო სკოლაში ირიცხება 250 სპორტსმენი, რომლებიც სხვადასხვა დონის ეროვნულ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობენ. დასაქმებულია 13 – მწვრთნელი, 12-მწვრთნელი სერტიფიცირებული.

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სხვადასხვა დროს არაერთ მნიშვნელოვან საერთაშორისო თუ ადგილობრივ შეჯიბრებებში მიიღეს მონაწილეობა, მათ შორის, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატზე თავისუფალ ჭიდაობასა და სასკოლო მსოფლიო ჩემპიონატზე მაგიდის ჩოგბურთში.

2020 წელს, **სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით** (სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერის ქვეპროგრამა) გათვალისწინებულია 25 160 ლარი, დაფინანსებულია სპორტის 7 სახეობა, სულ 21 ღონისძიება (მუნიციპალური და გასვლითი): თავისუფალი ჭიდაობა – 2 ღონისძიება, მაგიდის ჩოგბურთი – 2 ღონისძიება, ჭადრაკი – 2 ღონისძიება, კიკბოქსინგი – 1 ღონისძიება, კალათბურთი – 1 ღონისძიება, ფრენბურთი – 1 ღონისძიება, ფეხბურთი – 12 ღონისძიება.

**2020 წლის სპორტული ღონისძიებები:** საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში (ლიგა 4) – საფეხბურთო კლუბი „ბეთლემი“ დაფინანსებული იყო 74 ათასი ლარით. მიზანი – ლიგა 4-ის ჩემპიონატში ადგილის შენარჩუნება, ახალგაზრდა ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელების გამოვლენა და ხელშეწყობა. რეგიონული (დასავლეთი) ჩემპიონატი რაგბიში, შპს სარაგბო კლუბი „ბეთლემი“ დაფინანსდა 80 ათასი ლარით.

**2019-2021 წლებში, ასევე, სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა სპორტული ღონისძიება დაფინანსდა 249 190 ლარით.**

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები:**

აკავრეთისა და ეკნარის უბნებში მინი სპორტული მოედნების განათების სისტემების აღდგენა (4700 ათასი ლარი); ქედის საჭიდაო დარბაზის რემონტი (54,9 ათასი ლარი); კვაშტისა და დოლოგნის სპორტული მინი მოედნების რეაბილიტაცია (11,7 ათასი ლარი); არჩილ ფარტენაძის სახელობის ქედის ცენტრალური სტადიონის რემონტი (39,7 ათასი ლარი); მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია (94 ათასი ლარი);

**2018 წელს** განხორციელდა ქედაში, 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია (28 118 ლარი;) მოეწყო ფრენბურთის მოედანი სოფელ კოკოტაურში (4, 6 ათასი ლარი), **2019 წელს** აშენდა მინი სპორტული მოედანი დაბა ქედაში, რუსთაველის ქუჩაზე (91 ათასი ლარი); რეაბილიტაცია ჩაუტარდა სოფ: ზუნდაგის მინი სპორტული მოედანს (48 700 ლარი).

**2020-2021 წლებში** რეაბილიტაცია ჩაუტარდა მინი სპორტულ მოედნებს დაბა ქედაში, 9 აპრილის ქუჩაზე და სოფლებში: ზედა ბზუბზუ, პირველი მაისი, ახო, დაბა ახო (345,5 ათასი ლარი);



მიმდინარეობს ქედის ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია

**2021 წელს დასრულდა** ქედის მუნიციპალიტეტის სოფლების წონიარისისა და დოლოგნის საჯარო სკოლების ღია მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია (265,2 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „მაღალმთიან დასახლებებში სპორტის სფეროში დასაქმებული მწვრთნელების მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მუნიციპალიტეტში დასაქმებული 11 მწვრთნელი იღებს ფულად დანამატს. აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს ადგილზე მწვრთნელების დამაგრებას და სხვა პირების მაღალმთიან რეგიონში მწვრთნელად მუშაობის მოტივაციის გაზრდას.

## ახალგაზრდული პოლიტიკა

**ახალგაზრდული მიმართულებით საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განახორციელა:** „მოხალისეობის განვითარების პროგრამა" (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); "საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

ყოველწლიურად ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის (ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა) ქვეპროგრამით ფინანსდება და განხორციელდა ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტები.

მუნიციპალიტეში მნიშვნელოვნად გაიზარდა ახალგაზრდების ჩართულობა ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის (ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა) ქვეპროგრამით განხორციელებულ ღონისძიებებში. ასევე სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობისათვის ყოველწლიურად ტარდება სპორტული ღონისძიებები, სადაც ჩართულნი არიან 12-18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ახალგაზრდები შემდეგ ღონისძიებებში, სამოყვარულო ფეხბურთი, აჭარის ჩემპიონატი ფეხბურთში, მასტერლიგა 7x7 ფეხბურთში და სხვა.

**აჭარის ა/რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებამ – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა განახორციელა:**

**ახალგაზრდულ საქმეთა სფეროს ხელშეწყობის პროგრამა** – 2014-2018 წლებში, ყოველწლიურად ხორციელდებოდა 7 ღონისძიება (წელიწადში 3800-მდე ახალგაზრდა, ბიუჯეტი 380 000 ლარი): ფორუმი „რეგიონის განვითარება და ახალგაზრდობის როლი", „ახალგაზრდობის კლუბების მხარდაჭერა (ჩატარდა 5 სახეობაში: ლიტერატურული კლუბი, სადისკუსიო კლუბი, გამომგონებელთა კლუბი, ხელოვანთა კლუბი და შშმ პირთა ჩართულობის კლუბი, ყოველწლიურად ჯამში 44 აქტივობა), ინტელექტუალური თამაშები, ახალგაზრდული საზაფხულო ბანაკი, ლიდერთა სკოლა, „მხიარული რეგიონი".

**2019 წელს შეიქმნა სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი.** სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტიდან აღნიშნული მიმართულება გადავიდა ახალგაზრდობის რეგიონულ ცენტრში. ექვსივე მუნიციპალიტეტთან ერთად, ქედასაც მინიჭებული აქვს კვოტები.



**სს(ი)პ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრი ახორციელებს შემდეგ პროგრამებს:** არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 483 000 ლარი). ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 166 450 ლარი), კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა (ბიუჯეტი – 219 700 ლარი), ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 184 000 ლარი), სტრატეგიული დაგეგმარებისა და ეფექტური კომუნიკაციის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 65 000 ლარი).

**2020 წელს ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში არსებული რეგულაციების გათვალისწინებით, სსიპ ახალგაზრდობის რეგიონულმა ცენტრმა განახორციელა შემდეგი პროგრამები:** არაფორმალური განათლებისა და თავისუფალი დროის სწორად მართვის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 113 310 ლარი), ახალგაზრდული ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა (ბიუჯეტი 170 054 ლარი) და ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა (ბიუჯეტი 90 103 ლარი).

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ქედის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- კულტურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, გათვალისწინებულია შესაბამისი პროექტების დაფინანსება – 247 ათასი ლარი;
- 2022-2025 წლებში კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა პროექტის დაფინანსება 247 ათასი ლარის ოდენობით;
- 2022-2025 წლებში ყოველწლიურად განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვა და პროექტის შესაბამისად რეაბილიტაცია. სულ 320 ათასი ლარი (ყოველწლიურად 80 ათასი ლარი).
- დაბა ქედაში მიმდინარეობს მუზეუმის რეაბილიტაცია – 309 ათასი ლარი;
- დაგეგმილია დაბა ქედის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტი. კულტურის სახლში განთავსებულია, ასევე, ბიბლიოთეკა და სამუსიკო სკოლა. პროექტის ღირებულება – 1,5 მლნ ლარი;
- განხორციელდება კულტურის სახლების რემონტი და ინვენტარით აღჭურვა;
- კულტურის სახლების რეაბილიტაცია სოფელ დანდალოსა (550 ათასი ლარი) და სოფელ წონიარისში – 400 ათასი ლარი);
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- დაგეგმილია დაბა ქედის სასპორტო სკოლის რეაბილიტაცია – პროექტის საერთო ღირებულებაა 730 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი);
- დაბა ქედაში დაგეგმილია ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია – 180 ათასი ლარი;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.
- სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, სპორტული ღონისძიებების ქვეპროგრამით დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიების დაფინანსება 315 ათასი ლარის ოდენობით;
- ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამით, 250 ათასი ლარით დაფინანსდება სხვადასხვა გასართობი და შემეცნებითი პროგრამები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ინტელექტუალური დონის ამაღლებას და მოსწავლე-ახალგაზრდების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, ასევე, საჯარო და კერძო სფეროში თანასწორუფლებიანი გარემოს შექმნას. გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო 41




# ჩემო ძვირფასებო!

შანსი იმისა, რომ ქედის მერი ვიყო, უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა!

გამოცხადებული ნდობისთვის მადლობას ვუხდი „ქართულ ოცნებას“, ჩვენს პოლიტიკურ გუნდს, რომელმაც საშუალება მომცა, მშობლიურ მხარეზე, ჩემთვის კარგად ნაცნობ, საყვარელ ხალხზე ვიზრუნო.

ქედა ყოველთვის იყო მეღვინეობისა და ტურიზმის ერთ-ერთი ცენტრი, შესაბამისად, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, მომდევნო 4 წლის განმავლობაში ვგეგმავთ, კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ, რათა ჩვენმა მუნიციპალიტეტმა შეინარჩუნოს და მეტად განიმტკიცოს ეს მნიშვნელოვანი როლი!

კარგად ვიცი, თუ რა გამოწვევების წინაშე დგას ჩვენი მუნიციპალიტეტი, განვითარების რამხელა პოტენციალი და პერსპექტივა გააჩნია მას. შესაბამისად, ჩემი და ჩემი გუნდის უმთავრესი და სრულიად რეალისტური მიზანია, მოქალაქეების აქტიური ჩართულობით, ხელი შევუწყოთ ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და გავაუმჯობესოთ კეთილდღეობის საერთო ფონი, რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენი გუნდის ძირითად კონცეფციასთან – მეტი განვითარება თითოეულ მუნიციპალიტეტს.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ გავხადოთ ქედა ეკონომიკურად უფრო განვითარებული და ტურისტულად კიდევ უფრო მიმზიდველი!

მჯერა, გავიმარჯვებთ და ქედის უკეთეს მომავალს ერთად შევქმნით!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:



- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;




- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;




- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;




- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.